

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურის და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
Organ Komiteta po delam fizicheskoj kultury
i sporta pri Sovete Ministrov Gruzinskoj SSR
и Грузинского республиканского Совета профсоюзной

№ 20 (408) პარასკევი, 19 მაისი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

ზაქარია და ძლიერება მშვიდობის უკონო

დღითღამი იზრდება და მტკიცე-
დება მშვიდობის მომხრეთა
ფორტი მთელს მსოფლიოში. მშვი-
დობისათვის, ომის წინააღმდეგ მშვი-
დობისათვის, შრომისათვის, გამაღებელი
შვიტარების წინააღმდეგ! — ასეთია
მშვიდობისათვის მძაფრ მოძრაობა.
ში გაერთიანებული მრავალმხრივი
ანი მასების ნება-სურვილი. ხალხთა
მშვიდობისათვის შეუდრეკელი მის-
წარება, ომის გამაღებელი წინა-
აღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის
მზადყოფნა მკაცრად არის გამოხატუ-
ლი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო
კონგრესის მუდმივი კომიტეტის
სტოკჰოლმის სესიის მოწოდებაში,
რომელზეც ხელის მოწერის კამპანია
ფართოდ გაიშალა მსოფლიოს ყველა
კუთხეში.

სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენ-
ტის, სხვადასხვა რასის, სხვადასხვა
პოლიტიკური რწმენისა და რელიგი-
ური მრწამსის მილიონობით ადამი-
ანები ერთხლოდ აღიარებენ
მოწოდებას, რომელიც მოითხოვს
აბოლოოს იარაღის აკრძალვას და ომ
მთავრობის სამხედრო დამანაშაველ
გამოცხადებას, რომელიც პირველი
გამთიყვნებს აბოლოოს იარაღს რომე-
ლიმ ქვეყნის წინააღმდეგ.

მშვიდობისათვის, ომის საშინლე-
ბათაგან კაცობრიობის ხსნისათვის
მსოფლიოს მშრომელებთან ერთად
მედგრად იბრძვიან სპორტსმენები
და ფიზკულტურელები. „ხელის მოწე-
რას“ შეგროვებით მოწოდებან — აიკრ-
ძალოს აბოლოოს იარაღი და სამხედ-
რო დამანაშაველ გამოცხადდეს ის მთავ-
რობა, რომელიც პირველი გამოიყე-
რებს მას, — წინააღმდეგობის სპორტს-
მენები კომიტეტის თავმჯდომარე ერნსტ
პორნი, — ჩვენ, სპორტსმენები, ხელს
შეუწყობთ მშრომელთა ფართო მა-
სებისა და პირველ რიგში, ახალგაზ-
რდობის მოზიარების მშვიდობისა-
თვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა
და დემოკრატიული ერთიანო-
ბისათვის საბრძოლველად. ეს იქნება
ჩვენი მადლობის საუკეთესო გამოხა-
ტულება საბჭოთა არმიის სახელმთხ-
ვეპილი მებრძობისადმი, რომელთაც
თავიანთი გამარჯვებით გავაუთავისუ-
ფლეს ფაშისტური მონობისაგან და
ამით გვა გაგვანსნეს ბედნიერი მომავ-
ლისაკენ“.

მოწოდებით შეხვდა პოლონეთის
სპორტული ახალგაზრდობა მშვიდო-
ბის მომხრეთა სრულად პოლონეთის
კომიტეტის მოწოდებას ყველა მო-
ქალაქისადმი — სტოკჰოლმის სესიის
მოწოდებაზე ხელისმოწერით ცხად-

ყონ თავიანთი მზადყოფნა მტკიცე
მშვიდობისათვის, ომის გამაღებელ-
თა წინააღმდეგ საბრძოლველად.
თავისი მტკიცე გადაწყვეტილებით
ბოლომდე იბრძოლოს მშვიდობისათ-
ვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზ-
მისათვის — გამოხატა ათასობით ბულ-
გარელმა ფიზკულტურელმა სტოკ-
ჰოლმის სესიის მოწოდებაზე ხელის
მოწერით. დიდი აღშფოთებით ჩატა-
და მშვიდობის კრთის, რომელშიც მ-
სობრივი ხასიათი მიიღო. შეჯიბრე-
ბა ტარდებოდა ბულგარეთის ყველა
ქალაქსა და სოფელში. კრთში ან-
ტიური მონაწილეობით ბულგარე-
ლმა სპორტსმენებმა და ფიზკულტურე-
ლებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს
თავიანთი ერთგულება სახალხო-დე-
მოკრატიული წყობილებისადმი, მზად-
ყოფნა დაუღალავად იბრძოლონ მტკი-
ცე მშვიდობისათვის.

რუმინეთში ჩატა რესპუბლიკის
პირველობის გათამაშება მაგიდის
ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეო-
ბა მიიღეს უნგრელი და ჩეხოსლო-
ვაკელი — სპორტსმენებიც. ტურნირის
მონაწილეობა მოწოდებით მიმართეს
მთელი მსოფლიოს სპორტსმენებს.
ისინი წერდნენ: „ჩვენ, უნგრელი, ჩე-
ხოსლოვაკელი და რუმინელი სპორტ-
სმენები, რომლებიც შევიკრიბეთ ბუ-
ქარესტში, სულითა და გულით მიე-
მართეთ მსოფლიოს ყველა სპორტ-
სმენს შეუერთდნენ ომ დიად ბრძო-
ლას, რომელსაც მსოფლიოს ყველა
კუთხეში აწარმოებენ მშრომელები
ომის გამაღებელთა წინააღმდეგ.
ხალხთა შორის მშვიდობისა და პე-
გობრობისათვის. ჩვენ ვუერთდებით
მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონ-
გრესის მუდმივი კომიტეტის მოწო-
დებას... ხელს ვაწერთ ამ მოწოდებას
და გესურს, რომ ჩვენს ხელმოწერას
თვლიდნენ გამაღებელ სპორტსმენ-
თა მზადყოფნის კვების წინააღ-
მდეგ — წამოიწყონ ახალი სისხლის-
მღვრელი ომი. და, ნუ იქნება უძ-
ვითი სპორტსმენი, რომელიც აწი-
ურ მონაწილეობას არ მიიღებს მშვი-
დობის ბანაკის ბრძოლაში, რომელ-
საც მეთაურობს დიდი საბჭოთა კავ-
შირი და ყველა მშრომელთა ბრძენი
ბელადი ა. ბ. სტალინი“.


მშვიდობის მომხრეთა ორგანიზა-
ციის ფორტი უძლეველია. მისი
დიდი დროის ქვეშ დგებიან სულ
ახალი და ახალი ძალები. მთელს
მსოფლიოში მშვიდობისათვის ზრ-
ვის მებრძოლთა საბჭოთა კავშირის —
ყველა მშრომელთა მტკიცე დასაყრ-
დენი და იმედი.

ი. ბ. სვალინა მიიღო ბ-ნი ვიზიტის

15 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ი. ბ. სვალინმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანი-
ზაციის გენერალური მდივანი ბ-ნი ტრიუგველი
მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. მოლოტოვი და სსრ კავში-
რის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიზინსკი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ რ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის კონსტი-
ტუციის 5-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:
მოწვეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
უმაღლესი საბჭოს პირველი სესია 1950 წლის 12 ივნისს ქალაქ მოსკოვში.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. შვირინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ბორკინი
მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 13 მაისი.



უნგრელი სპორტსმენი ქალი ა.
შარკანი-ე-მე-მეტი ვარჯიშობს
ნაირსიმაღლის ორბელზე.
ფოტო ბ. კოსირევისა

მშობრთა შეხვერა

სსრ კავშირის და უნგრეთის
ტანმოკარგობითა გაბრძნა

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). სსრ
კავშირისა და სახალხო-დემოკრატი-
ული უნგრეთის უძლიერეს ტანმო-
კარგობითა მატჩი გადიოდა ამ ორი
მშვიდობისმოყვარე ქვეყნის წარმო-
მადგენელთა ურყევი მეგობრობის
მკაცრი დემონსტრაციად. აუარსებელი
მაყურებელი უდიდესი აღტაცებით
აღვიწყობდა თვალყურს საბჭოთა კავ-
შირისა და უნგრეთის ბრწყინვალე
სპორტსმენთა ოსტატობას, მათ მიერ
შესანიშნავად ჩატარებულ ურთულეს
ვარჯიშებს.

უნგრეთის ტანმოკარგი ქალთა
შორის განსაკუთრებული მოწონება
დაიმსახურა სტუდენტთა საერთაშო-
რისო თამაშობებში (ბუდაპეშტი, 1949
წელი) გამარჯვებულმა ა. შარკანი-
ე-მე-მეტიმ. ხაზგასასმელია მისი შე-
სანიშნავი ოსტატობა ნაირსიმაღლის
ორბელზე ვარჯიშისას.

მაგრამ ქალთა ტურნირი სპორტის
დამსახურებელი ოსტატის გ. ურ-
ბანოვიჩის სასარგებლოდ დამთავრდა.
მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ
იგი, უძლიერესი საბჭოთა ტანმოკარ-
გობა, საერთაშორისო კლასის ბრწყი-
ნვალე სპორტსმენია. ურბანოვიჩი
პირველი იყო რგოლებზე ვარჯიშში
და სტუმრებში.

შეჯიბრებაში კარგ შედეგებს მიიღ-
წია საქართველოს წარმომადგენელმა
სპორტის ოსტატმა მ. ჯულდელმა, რომელ-
მაც სტუმრებში მე-4 ადგილი მოი-
პოვა; ხოლო დეირზე ვარჯიშში —
4-6 ადგილი გაიყთ გ. ურბანოვიჩთან
და ს. პოდუზდოვასთან.

ქალთა შორის საბოლოო ადგილები
ასე განაწილდა: 1. გ. ურბანოვიჩი
(78,8), 2. ა. შარკანი-ე-მე-მეტი
(78,55), 3-4. ს. პოდუზდოვა და მ.
გარბოვსკაია (78,15), 5. ნ. ბოჩარო-
ვა (77,85).

მამაკაცთა შორის მამაკაცი და საინ-
ტერესო ბრძოლა გაჩაღდა საბჭოთა
ტანმოკარგობების — სსრ კავში-
რის აბსოლუტური ჩემპიონის ვ. ჩუ-
კარინის, ვ. ბელიაკოვისა და სხვათა
შორის.

ჩუკარინმა ამჯერადაც უხადლო
ოსტატობა გამოამჟღავნა და, გაუსწ-
რო რა სპორტის დამსახურებულ ოს-
ტატ ვ. ბელიაკოს 0,2 ქულით, პირ-
ველი ადგილი მოიპოვა. მეორე ად-
გილზე 114,4 ქულით გამოვიდა ბე-
ლიაკოვი, მესამეზე — ვ. მურატოვი
(113,05), მეოთხეზე — ა. იბადულა-
ევი (110,6), მეხუთეზე — უნგრელი
ი. კლენჩი.
პირველი, დაძაბული — სპორტული
ბრძოლის შედეგად, რომელიც მეტად
გულბოლო ვითარებაში წარმოებდა,
გამარჯვდა სსრ კავშირის გუნდმა ან-
გარიშით 1156,4:1088,3.

3. სვალინის მსოფლიო რეკორდი

სარკოვი. (ჩვენი ხეც. კორ.). აქ
ჩატარებულ ძალოსანთა საკავშირო
შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატე-
ბას მიაღწია თბილისელმა დინა-
მომელმა ვ. სვეტილკოვ (მსუბუქი
წონა). მან ორი ხელით აჭიმა შტან-
გა, რომელიც იწონიდა 111,8 კი-
ლოგრამს და დაამყარა ახალი მსო-

ფლიო რეკორდი. სვეტილკოვს შე-
დეგი 500 გრამით აღემატება ძველი
მსოფლიო რეკორდი. აქამდე
ორი ხელით ატარებულ მსოფლიო
რეკორდს (საშუალო წონა) დაამყარა
ახალი საკავშირო რეკორდი — 126,3
კილოგრამი.

4. ჩუბინას შესანიშნავი ნახევარი

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). გასულ
კვირას „დინამოს“ ცენტრალურ
ხტადიონზე ბრწყინვალე წარმატებას
მიაღწია ცნობილი მოსკოველმა
მძლეოსანმა ალექსანდრა ჩუბინა-
მამ. გამორბენით სიგრძეზე სტომა-

ში მან ახალი საკავშირო რეკორდი
დაამყარა — 5 მეტრი და 93 სან-
ტიმეტრი.
ძველი რეკორდი, რომელიც თბი-
ლისელ ნ. ხნიკინას ეკუთვნოდა, გა-
უმჯობესებულა 11 სანტიმეტრით.

საბჭოთა მოკივიანის გამარჯვება

აოლონეთის რინგზე

პოლონეთის დედაქალაქის რინგზე
14 მაისს სადღესასწაულო ვითარება-
ში გახსნა მოკივიეთა საერთაშო-
რისო ტურნირი, მიმდინელი პოლონე-
თის კრივის 30 წლისთავისადმი.
ასპარეზობაში, რომელიც 5 დღეს
გატანს, მონაწილეობენ საბჭოთა
კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის,
რუმინეთის, — სვეციისა და ფინეთის
გუნდები.

ჩვენი ქვეყნის სპორტულ პრესტიჟს
იკვირებს სპორტის ოსტატები ა. ბულა-
კოვი, გ. ხანუკაშვილი, ე. არისტაკე-
სიანი, ს. მულინი, ვ. მენდოვი, სპორ-
ტის დამსახურებული ოსტატი ს.
შერბაკოვი, სპორტის ოსტატები ბ.
სილჩევი, გ. სტეპანოვი, ვ. ეგოროვი
და ა. შოციკასი.

პირველ დღეს რინგზე 4 საბჭოთა
მოკივიე გამოვიდა. ბულაკოვმა ქუ-
ლების მიხედვით დაამარცხა რუმინ-
ელი სეკსიანი, არისტაკისიანი —
ხური (ფინეთი), შერბაკოვმა — ბლი-
უმი (სვეცია). მსოფლიოს უძლიერეს-
მა მოკივიემ, უდიდეს შეჯიბრებათა
მრავალჯერო პრიზორმა უნგრელმა
პაპმა (საშუალო წონა) ქულების მო-
ხვედვით მოუფლო მატჩი სილჩევს.

15 მაისს ხანუკაშვილმა გამარჯვება
ფინელ ლუფფასთან, მენდოვმა სოკაუ-
ტი გაუკეთა ფინელ მიტინენს, სტუ-
პანოვმა დიდი უპირატესობით და-
მარცხა შტორნი (სვეცია).

მულისმა ქულების წაგო მატჩი
უნგრელ ბულასთან, ხოლო ეგოროვმა
— პოლონეთის ჩემპიონ შმიტრასთან.
ტურნირის მესამე დღეს, 16 მაისს,
საბჭოთა მოკივიეებმა ოთხი გამარჯ-
ვება მოიპოვეს. ბულაკოვმა დაამარცხა
ხამალოინი (ფინეთი), არისტაკისიანი —
მა — შანკე (პოლონეთი), შოციკასი —
ბოპლევა (რუმინეთი). მოგება ჩაეთვა-
ლა სილჩევს, რადგან მისი მოწინააღ-
მდეგე ფინელი სნდერსენი რინგზე
არ გამოცხადდა.

6 ქალის კალთბურთითა ასპარეზობა

ბათუმი. (ჩვენი ხეც. კორ.). აქ
დამთავრდა 6 ქალის მატჩი კალთ-
ბურთში, რომელიც კონკურს ვარჯ-
შე მონაწილეობდა თბილისის ოფი-
ცერთა სახლის ოსტატთა გუნდი.
არბიტრებმა მოიგეს ყველა შეხვედ-
რა.
პირველი ადგილის ბედი გადაწყვი-
ტა ბათუმისა და ქუთაისის კლდე-
ტაგების მატჩმა. თამაში სწრაფი
ტემპით დაიწყო. ინიციატივა ბათუ-
მელთა ხელშია. პირველი ნახევარი
მათ მიჰყავთ და შეესვენებზე მიდიან
ანგარიშით 29:26.

რომ გასულ წლებში იგი უკანას-
კნელ ადგილზე გამოდიოდა ხოლმე.
თავიანთ ძალებთან შედარებით სათა-
ნადო სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ
სოხუმელი კალთბურთელები (მესა-
მე ადგილი).

სუსტნი გამოდგნენ ფოთისა და
ქიათურის წარმომადგენლები, რომ-
ლებიც პირველად მონაწილეობდნენ
ასეთ სახატხისატებლო მატჩში.



სურათში: ფოთისა და ქუთაისის
გუნდების შეხვედრის მომენტი.
ფოტო კ. საბახტარაშვილისა.

მივიწყებული დედა და სავალალო შვიდი

ჩინგა პი იყვანა ნაყვანი მოკრივეები

ჩვენი კალენდარი

დიდი რუსი მხედართმთავარი

ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავი

მიძე იყო რუსეთისთვის XVIII საუკუნე. ქვეყანას მოუხდა 19 ომი გადახდა, რომელშიც საერთო რაოდენობით 61 წელიწადი მოითხოვა.



ამ დაძაბული საუკუნის ბოლოს რუსეთის იარაღის ძალა დიდების შარავანდედით შეიძინა და მისი არმიის სამხედრო ოსტატობა იმ დროისათვის ყველაზე მოწინავე ხელგუნდად იქცა მთელს მსოფლიოში. ამას უნდა ვუმაღლოდეთ დიდი რუსი მხედართმთავარი ა. ვ. სუვოროვის გენიალური, რომელიც ახალ ყაიდაზე მოაწყო ჯარები, სიმაძიცი, გმირობის, ამტანობის კეთილშობილი თვისებებით და გამარჯვებისადმი ურყევი რწმენით აღჭურვა ისინი.

სუვოროვის მხურვალე უყვარდა ჯარისკაცი, თვითონაც ხალხათის ცხოვრებას ეწეოდა, — ძინა თივაზე, სპაღა ჯარისკაცის საქმელს და სხვ. იგი ბევრს რწმუნავდა მეომრების ფიზიკურ აღზრდაზე, მათ საბრძოლო გამობრძნედაზე.

ა. ვ. სუვოროვმა ბავშვობიდანვე ცოდნის დაუფლების დიდი უნარი გამოიჩინა. მას განსაკუთრებით იტაცებდა ხანძერო ლიტერატურა. მის სახეზე ოთახში უხვად ელაგა წიგნები, ბრძოლათა გეგმები, გლობუსები, გეოგრაფიული რუკები... სუვოროვი კარგად დაეუფლა ფრანგულ, გერმანულ, პოლონურ და იტალიურ ენებს.

მომავალი დიდი მხედართმთავარი 18 წლის იყო, როცა პოლკის ჯარისკაცად ჩაირიცხა. მან შედარებით კარგად შეიტვისა ქვეითი და საარტილერიო საქმე, ცხენოსნობა, იყო მამაცი ჯარისკაცი და კარგი მხრეა.

26 წლის სუვოროვმა მიიღო ოფიცრის პირველი წოდება. მან, როგორც შტაბ-ოფიცრმა, საბრძოლო ნათლობა მიიღო შვიდწლიან ომში და 1759 წელს სახელი გაითქვა კუნერსდორფის იერიშში. 34 წლის სუვოროვი პოლკოვნიკი გახდა.

მრავალი ბრწყინვალე ბრძოლითა და ლაშქრობით ასახელა ა. ვ. სუვოროვმა სამშობლო თავისი სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე. ცნობილია, რომ მან 25-ათასობა იწვროთ სასტიკად დაამარცხა თურქების ასიათასობა არმია. მან მთელი მსოფლიო ალაპარაკა იტალიასა და შეიქარაში ჩატარებული გაბედული ლაშქრობებით. სწორედ ამ ლაშქრობათა შედეგად მიენიჭა მხედართმთავარს გენერალისინუსის წოდება.

მდგომარეობის ზუსტი განჭვრეტა, სისწრაფე, შემტევი სტრატეგია, მოულოდნელი გამოჩენა მტრის ზურგში, — აი, რა უზრუნველყოფდა სუვოროვის „გამარჯვების მიტინგების“ წარმატებას.

საბჭოთა ხალხი ამჟამად ა. ვ. სუვოროვის, დიდად აღფრთხილებს კინზურნის, ფოკანის, რიშნიკის, იზმაილის, ტრებიასა და სენ-გოტარდის გმირს, რომლისთვისაც ვადალანახე ზღუდებს როცა წარმოადგენდნენ ათასკომანდოვანი ლაშქრობები, გაუფლვი ქაობები, მიუდგომელი მთები და სიმაგრენი.

ჩვენს ქვეყანაში კრივმა ფართო განვითარება პოვა. ამან ფიზკულტურის საყვარლო კომიტეტის სპორტის ამ სახეში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების საშუალება მისცა, რაც წელს ბირველად ტარდება. თასში კრივის სექციის ცალკეული ძირეული კოლექტივების და არა სასპორტო საზოგადოებათა წარგები გუნდების მონაწილეობა მიზნად ისახება ძირეული კოლექტივების — ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის ამ საფუძვლები — განმტკიცებას.

გათამაშების ჩატარება დაგეგმილი იყო ოთხ ეტაპად ზუსტად განსაზღვრული ვადებით. შეჯიბრებები ქალაქებსა და ოლქებში უნდა დამთავრებულიყო 15 მარტამდე, ტესტული-ქეში—15 აპრილამდე; აპრილის მეორე ნახევარში გათვალისწინებული იყო რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა შორის მატჩები. ნახევარფინალური და ფინალური ასპარეზობანი ჩატარდება მოსკოვში 22-25 მაისს.

ერთი კვირის წინათ ბაქოში შედგა მატჩი საქართველოს და აზერბაიჯანის ზონებში ჩატარებულ გათამაშებებში გამარჯვებულ გუნდებს შორის. სპორტული აზერბაიჯანის სახელის დაცვის უფლება საკავშირო ასპარეზობაზე მოიპოვეს დედაქალაქის „ბოლშევიკის“ მოკრივეებმა, საქართველოდან გამოდიოდა თბილისის ოფიცრთა საოლქო სახლის გუნდი. მატჩი დამთავრდა „ბოლშევიკის“ გამარჯვებით — 13:10 და საქართველოს მოკრივეებმა დაპყარგეს თასისათვის ბრძოლის გაგრძელების უფლება.

როგორ მოხდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა (საქართველოს ჰყავს გამოცდილი, მკოდნე მჭირთენი და ბევრი პაპულარული მოკრივე) მარცხი განიცადა და პირველივე შეხვედრა წაგო? ჩვენ არ ვაპირებთ დამარცხების მიზეზს არმიულგებს გადავხაროთ — გამარჯვების მიხედვით ყველაფერი გააკეთეს, რაც კი მათზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ფივე, გააკეთეს თუ არა, ორგანიზაციებმა და იმ პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ რესპუბლიკაში თასის გათამაშების ჩატარებას? ვილაპარაკოთ ამის შესახებ...

ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა თასის გათამაშების დებულება დროულად დაუგზავნა ადგილს. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტში იგი თებერვლის შუა რიცხვებში მიიღეს. მაგრამ დებულებას მამინვე კი არ მიეცა მხელელობა, არამედ იგი „შემახულ იქნა“ სასპორტო განყოფილების ინსპექტორის ნ. მუსასტიკოვის მიერ. უკრაინის სხვა მივიწყებულ ატრაცელ ქალაქში შორის განვლი ქალაქებში შეჯიბრების ჩატარების თარიღებმა,

დადგა უქანსკენელი ვადა—15 მარტი, დებულება კი კვლავ უკრაინაში განისვენებდა.

„გულშემატკმე“ მუსასტიკოვს შეიძლება არც ისე მალე განსვენებოდა დებულების არსებობა და მისი გამარჯვებისა და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გავზავნის აუცილებლობა, რომ ეს „ბედუქმდართი ქალაქი“ შემთხვევით თვალში არ მოხვედროდა. 40 დღის „დაშუშავების“ შემდეგ იგი მხოლოდ მარტის ბოლოს დაგზავნის ადგილებზე. მიძე მდგომარეობაში ჩაყენებული ადგილობრივი კომიტეტები იძულებული იყვნენ ნაუტბათევე „მოეწყობა“ შეჯიბრებები და ამის გამო საშუალება არ ჰქონდათ უზრუნველყოთ მათი მალალი ტექნიკური დონე და რიგითი, დამწყები სპორტსმენების შეჯიბრებებში ფართოდ ჩაბმა.

რესპუბლიკური კომიტეტის მუშაობა ესოდნე „მოერტილი“ ხელმძღვანელობის შედეგებმა შესაფერი „ნაყოფი“ გამოიღო — ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში შეჯიბრებები ძნელად თუ ატარებდა მასობრივ ხასიათს და მათ ნაკლებად შეუწყეს ხელი კრივის პოპულარიზაციას ახალგაზრდობას შორის.

კიდევ უფრო ცუდი შედეგი მივიღეთ დედაქალაქში, სადაც თასი სრულიად არ გათამაშებულა — ამ დროს ტარდებოდა ძალიანანთა სპარტაკადა, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის ყველა წამყვანი მოკრივე. ერთი შეხედვით არ შეიძლება თბილისის კომიტეტს შევედოთ, რადგან მას არ ჰქონია არაერთი მითითება თასის გათამაშების ჩატარების შესახებ, — კომიტეტმა ვადწყვიტა თავისი კოლენდარიც დათვალისწინებული სპარტაკადის მოწყობა. მაგრამ ვინა მართალი იყო კრივის საქალაქო სექცია, რომელმაც გვერდი აუარა ესოდნე მნიშვნელოვან მოვლენას „ზემოდას“ სადირექტივო მითითებთა მიუღებლობის გამო? დანიტრერესდა თუ არა სექცია იმ მიზეზებით, რომლებიც ხელს უშლიდნენ შეჯიბრებების ნორმალურ ჩატარებას?

როგორ მოიქცა საქალაქო კომიტეტი, როცა მოითხოვეს გუნდის გამოყვანა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში? ჯერ ვადწყვიტა სპარტაკადაზე გამარჯვებულის გამოყვანა, თუმცა თასის გათამაშების დასაშუაება ცალკეული ძირეული კოლექტივებისა და არა ნაკრები გუნდების მონაწილეობა. მაგრამ პირველ ადგილზე გამოსულმა დინამოელებმა უარი თქვეს საქართველოს ზონის ფინალში მონაწილეობაზე. გამოუვალი მდგომარეობიდან კომიტეტი გამოიყვანა ოფიც-

რის სახლის გუნდმა, რომელიც თემც არ მონაწილეობდა საქალაქო შეჯიბრებებში (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო), მაგრამ სურდა თასისათვის ბრძოლაში გამოესვლა.

კრივის სახელბის პარკში ამრილის დასაწყისში ჩატარებული ზონის ფინალმა გამოავლინა არმიელთა უბირატესობა და მათ საშუალება მისცა სსრ კავშირის თასზე საქართველოს სახელით გამოსულიყვნენ.

ამრიგად, საქართველოში თასის გათამაშება აბორგინისხეულად ჩატარდა. ამამი ბრალი ედებათ რესპუბლიკური კომიტეტის მუშავეებს, რომლებმაც არ იხებეს არანორმალური ფაქტების მხილება და გადასწყვიტეს როგორმე „იოლად“ გამოსულიყვნენ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ვატარებაში.

უცნური პოპიცია დიკავა კრივის რესპუბლიკურმა სექციამაც, რომელმაც წაუყრუა დებულების დარღვევის ფაქტებს და ვანზე გაუდგა ამ მეტად საყურადღებო მოვლენას.

ვინა სექციის წევრებს არ ექისრებათ დანაშაული ამის გამო? მათ თუ არა, სხვას ვის უნდა აეტხა ვანგაში და საქმისაყენ მოეწოდებია ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტული განყოფილების მუშავეები?

1945 წელს საქართველოს მოკრივეებმა მოიგეს ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობა. რესპუბლიკის სსსპორტო სექციებში აღიზარდნენ ისეთი მადალი კლასის ოსტატები, როგორც არიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გ. ხანუკაშვილი, შ. გორგასლოძე, ვ. ვარათაძე, ლ. ლულუშაური, ა. ნავასარდოვი.

ეს წარბატებები შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ დიდების პოპულარიზების შედეგად, რაც კრივმა მოიპოვა საქართველოში. აი რატომ გვხვდებოდა ასე მწვეველ თვალში ის უბადრუკობა, რითაც ხასიათდებოდა მოკრივეთა პირველი მასობრივი შეჯიბრებები.

შეუძლია თუ არა დაგვაკავაფილოს მთელს რესპუბლიკაში მხოლოდ 15-20 გუნდის მონაწილეობამ, როცა მარტო თბილისში მუშაობს ფასიან მჭირთენი დაახლოებით ამდენივე რაოდენობა. სადა არიან საზოგადოებრივი მჭირთენები? რატომ არც ერთმა მათგანმა არ გვიჩვენა თავისი საქმიანობის ნაყოფი?

ეს სავალალო შედეგები მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რათა შეცოდებები მომავალში აღარ განმეორდეს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მასობრივ შეჯიბრებთა სანიშნულად ჩატარება წარმოადგენს უმნიშვნელოვნეს პირობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებთა შესრულებისათვის.

მეგრამ ასეც ხდება, რომ ზოგიერთი კოლმეურნობის ხელმძღვანელები ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ნაკლებ მნიშვნელოვან საქმედ თვლიან. ახალშენის, გონიოს, მარაღდის, კახაბრის კოლმეურნობებში დღემდე თითქმის არაფერია გაკეთებული მეჯინისწყულ კოლმეურნე ფიზკულტურულთა მიმართის საპასუხოდ, მოუწყობელია სასპორტო მოედნები და არ ტარდება საწვრთნელი მეცადინეობა.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიდევნება მოეთხოვებათ რეალური დახმარება აღმოუჩინონ ძირეული კოლმეურნეების ფიზკულტურისა და სპორტის ყრველმხრივ განვითარების საქმეში.

საჭიროა კოლმეურნობის ყველა ხელმძღვანელ მუშაში მტკიცედ დიონერგოს ის რწმენა, რომ „სპორტი არ არის უბრალო გასართობი. იგი ჯანსაღი, ფიზიკურად განვითარებული, მტკიცე ნებისყოფიანი ახალი თაობის აღზრდის მძლავრი საშუალებაა“.

იქ, სადაც მოხდომებაა

დ. ხელაძე საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი

გასული წლის შემოდგომაზე ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებში ჩამოყალიბდა ახალი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები. სწორედ ამავ ხანებში სოფ. მეჯინისწყლის კოლმეურნე ახალგაზრდებმა, რომლებიც გაეცნენ მშრომელთა დებუტატების რაიონის ალმასკომისა და პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილებას სოფლად ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, ვაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სპორტული მოძრაობის მასობრივობისათვის.

სოფელ მეჯინისწყლის ვორონოლოვის სახელობის კოლმეურნობის ფიზკულტურული კოლექტივის მიმართვას, რომელიც გამოქვეყნდა რაიონულ ვაზეტში, ფართოდ გამოეხმაურნენ რაიონის კოლმეურნეობებში ახლად შექმნილი ძირეული კოლექტივები.

როგორც კი დადგა ვაზეტული, საკოლმეურნეო შრომის ფერხულში ჩაბმული ჩვენი კოლმეურნე ახალგაზრდობა შეუდგა საწვრთნელ ვარჯიშებს კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ძალოსნობასა და მძლეოსნობაში.

მეჯინისწყალში, ურესში, ხელვაჩაურში, მახინჯაურში, აჭარისწყალსა

და სხვა სოფლებში საკოლმეურნეო ფიზკულტურული ორგანიზაციები სკოლების მოსწავლეთა დახმარებით აწყობენ ახალ სპორტულ მოედნებს. კოლმეურნე ფიზკულტურელები საკოლმეურნეო შრომისაგან თავისუფალ დროს იკრიბებიან თავიანთ მოედნებზე და ატარებენ საწვრთნელ მეცადინეობებს, შიდასაკოლმეურნეო და სასკოლო შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეში.

მოკლე ხნის მანძილზე რაიონში ჩატარდა შეჯიბრებები ქადრაკში, სიმძივების აწევაში და სხვ. მოეწოთ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების თავმჯდომარეთა და საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მოსამზადებელი სემინარი, რომელიც 43 კაცმა დაამთავრა.

კოლმეურნე ძალოსნთა შეჯიბრებაზე, რომელიც ამას წინათ ბათუმში ჩატარდა, აჭარის ჩემპიონობა მოიპოვეს ურესელმა და მახინჯაურელმა კოლმეურნეებმა ს. ვარშანიძემ და ხ. ყურბუბაძემ.

ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ მკვიდრდება ჩვენი რაიონის

ამას წინათ სტალინის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ჩაატარა საქალაქო შეჯიბრება კალათბურთში, სადაც მონაწილეობდნენ ვაჭთა 5 და ქალთა მხოლოდ 2 გუნდი.

შეჯიბრების მსვლელობაში მონაწილენი უზრუნველყოფილი არ იყვნენ საქმით დახმარებით და საჭირო შემთხვევაში სპორტსმენებს წყაროს წყლით უშუშებდნენ და მავებულ ავადილებს.

მატჩების დროს მოედანზე იყო აურზაური, ღონისძიებები, მსაჯთა კოლეგია კი ამ უწყსრიგობის მოსახსოვბად არავითარ ზომებს არ იღებდა. — უშუერი სიტყვებით არ ილანდებან და ლამაზაკს ვერ დავუშლითო, — იმართებდნენ კოლეგის წევრები თავს.

თამაშის დროს მოედანი არ იყო დახასული, რის გამო წესების დაცვა შეუძლებელი გახდა.

სტალინის თამცა არაორგანიზებული, მაგრამ მინიმალურად ტარდება სპორტული შეჯიბრებები, რომლებშიც მხოლოდ ვაჭთა და ქალთა რამდენიმე სკოლის ერთი და იგივე სპორტსმენები და გუნდები მონაწილეობს. სადა არიან პედგოგოური ინსტიტუტის, სამედიცინო, ზოოტექნიკური, სამხატვრო სასწავლებლებისა და წარმოება-დაწესებულებების ფიზკულტურული კოლექტივები?

სტალინი.

მოიღწეა პაპს... ვარსი

აშბროლოურის რაიონის სოფელ კაჩეთის კოლმეურნე ახალგაზრდობას ჰქონდა კეთილმოწყობილი ფიზკულტურის მოედანი, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობამ მოედანზე ჯერ საქონლის ფარები აამწა, შემდეგ კი ფარულული მიუშატა. ამრიგად კაჩეთელ ახალგაზრდობას მოესპო ფეხბურთის თამაშის საშუალება.

ბ. ილოვლი

აშბროლოურის რაიონი.

გამოქვეყნებული

წერილების კვადკვად

„ვინ როდის მივიდა ფინიშთან?“

ჩვენი ვაჭეთის 16 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო წერილი „ვინ როდის მივიდა ფინიშთან?..“, რომელიც ეხებოდა ბათუმის საშუალო სკოლების მოსწავლეთა მიერ მშთ კომპლექსის ნორმების არორგანიზებულად ჩაბარებას.

როგორც აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ამს. ვ. ახვლედიანი ვეატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა, რის შედეგადაც აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ვააუქმა ნორმატივების ჩაბარების შედეგები, ხოლო განათლების მინისტრამ ამ საქმეში კონკრეტული დანაშავე, ფიზანსპექციის უფროსი ა. ზვინგია განათვისუფლა სამუშაოდან.



ბათუმის ლ. პ. ბერძანს სახელობის პიონერთა პარკში ქალაქის ნორჩი ფიზკულტურელები მეცადინეობა მხატვრულ ტანვარჯიშში.

ფოტო კ. საბახტარაშვილისა.

ფეხბურთის მოყვარულნი



სოხუმის კალათბურთისა და ფეხბურთის სტადიონზე დიდი გამოცდვით სუფთა აქ სისტემატურად ტარდება ამხანაგური შეხვედრები და საწერელი მეცადინეობები სპორტის ამ საინტერესო სახეობაში. სურათში: ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. ფოტო გ. კვიციანიანი.

სსრ კავშირის XII ჩემპიონატი

მათამაშავის სხრილი „ა“ კლასი

მდგომარეობა 19 მაისისათვის

ძირითადი შედეგები

ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.	მ.	გ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	8	5	1	2	17:9 11
„სენიტი“	6	5	0	1	17:9 10
„სპარტაკი“	8	4	2	2	18:5 10
„კრ. სოვეტოვ“	6	3	3	0	3:0 9
„ც. დ. კ.“	6	3	3	0	11:6 9
„ლოკომ.“ მ.	7	3	3	1	11:10 9
„დინამო“ ლ.	8	4	1	3	11:10 9
„დინამო“ ვ.	8	3	2	3	7:5 8
„დინამო“ მწ.	8	3	1	4	10:10 7
„სპარტაკი“ თბ.	8	3	1	4	10:10 7
„დინამო“ ქ.	8	2	3	3	8:9 7
„ტორპედო“ სტ.	8	2	3	3	10:16 7
„გ. ვ. ს.“	6	3	0	3	13:11 6
„დინამო“ მ.	7	2	2	3	7:8 6
„ლოკომ.“ ხ.	8	2	1	5	6:13 5
„სპარტაკი“ თბ.	7	2	0	5	6:14 4
„ტორპედო“ მ.	7	1	2	4	4:11 4
„ნეფტიჩანი“	7	1	1	5	3:15 3

პირობითი ნიშნები: თ—თამაშთა რაოდენობა, მ.—მოგებათა რაოდენობა, ფ.—ფრეზები, ბ.—ბურთების შეფარდება, ქ.—ქუთათა რაოდენობა.

უსაკრებელი ნიშნი

ამ რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა და ბაზარზე გასაყიდად გამოვიდა სტალინის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიკური თეორიის კათედრის გამგის დოცენტ ა. დ. ნოვიკოვის ნაშრომი „ფიზიკური აღზრდა“. ავტორი საქართველოს გამოცემის მთელი რიგ უხეშ შეცდომებს, რაც სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული „კომსომოლსკაია პრავდას“ და „სოვეტური სპორტის“ ფურცლებზე ერთი კვირის წინათ საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და ისტორიის კათედრის გაფართოებულ მსდონზე განხილულ იქნა აღნიშნული წიგნი. მომხსენებელმა ამხ. ა. რატიამ აღნიშნა, რომ ავტორი თავის ნაშრომში ზოგჯერ არასაკმარისად აშუქებს მისი ნაშრომის ლენინის კლასიკოსების როლს ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის დადგენის საქმეში. ფიზიკური აღზრდის ბურჟუაზიული სისტემის გაშუქებისას ავტორი მას კრიტიკულად არ იხილავს. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა კ. დეგ ბევრი სხვა შეცდომა აღნიშნა: კათედრამ მიიღო დადგენილება, რომელიც საზგასმულოა, რომ ამხ. ნოვიკოვის „ფიზიკური აღზრდა“ შეიცავს უხეშ შეცდომებს და სტუდენტებისათვის ეს წიგნი, როგორც სასწავლო სახელმძღვანელო, მასწავლებელს და გამოუსადეგარი.

თბილისის „დინამომ“ გააუმჯობესა თამაში

მატჩიდან მატჩამდე ფეხბურთელებს თამაშის თბილისის „დინამოს“ ოსტატურ ფეხბურთელთა კოლექტივი. მ. ჯოჯუას აგრესიული სტილი, ი. ვარდი-მილის თამაში გასვლები ბურთზე, ა. დოლობერიძის შესანიშნავი ტექნიკური ილუზიები, ნ. თორიძის ენერჯიკული შედეგები, გუნდის კაპიტანმა და ლიდერმა ბორის პაიჭაძემ გუნდის შეტევას მიეცა ორგანიზებული ხასიათი, იური იმედი ტექნიკურად გააზრებული გახდა.

სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა პაიჭაძემ ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩები ხარკოვში, სტალინგრადში, მოსკოვში. 35.000 ხარკოველი მაყურებელი გულბილად შეხვდა თბილისელთა გუნდს გამოსვლის მინდობით და ასევე გულბილად, მჭიდროდ ოცადობით მოულოცა გამარჯვება საქართველოს სპორტსმენებს. დიდი თოქონება დაიმსახურა გ. მარდიამ, რომელმაც რამდენიმე „მეცადინე“ ბურთი აიღო. აღსანიშნავია აგრეთვე ხარკოველთა მეცადინე თამაში, რომელმაც მთელი ტაიმის 27-ე წუთზე ჯერ ვარდიძის ძლიერი ბურთი მოიგვრია, ხოლო 2 წუთის შემდეგ პაიჭაძისა.

ხარკოვის „ლოკომოტივიდან“ ოსტატური თამაშით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნ. ძიამაძე, ვ. ელო-შვილი, ი. სარჯელიძე, მ. ჯოჯუა და ა. დოლობერიძე.

სტალინგრადის „ტორპედოსთან“ თბილისელებმა სასტიკი იერიშები განავითარეს. უკვე მე-9 წუთზე თორიძის მიერ მიწოდებული ბურთით თავური გარტყმით გაიტანა ჯოჯუამ. მე-13 წუთზე დოლობერიძემ აიძულა სტალინგრადელები თამაში კვლავ ცენტრიდან დაეწყოთ. მეტად ლამაზი იყო პაიჭაძის გოლი. იგი სწრაფად გავიდა გარდევანზე, ჩამოიტოვა რა გზაში ორი მცველი, მაგრამ მესამე თბილისელი სპარტიზი მოედნას ხაზთან წააქცია.

„დინამოს“ ძლიერი დარტყმით გაგზავნა საჯარიმო ბურთი, რომელმაც კარის ზევითა კუთხეში პაიჭაძე „თავშესაფარი“. ეს მოხდა 22-ე წუთზე. შეხვედრის შემდეგ რ. მახარაძემ (ამ დღეს იგი თამაშობდა მარჯვენა შეხვედრის თამაშში) თავით მეთებ ბურთი გაიტანა. მსაჯოს საფინანსო სასტატუსამდე 14 წუთით აღარ ბელოუსოვმა („ტორპედო“) ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო.

განსაკუთრებით მძაფრი და საინტერესო იყო მოსკოვში 15 მაისს შედგარი მატჩი — ვესს—„დინამო“ (თბილისი). შეხვედრის პირველი ნახევარი თბილისელთა აშკარა ტერიტორიაზე და ტექნიკური უპირატესობით აღინიშნა. შეტევებს ბრწყინვალედ მეთაურობდა პაიჭაძე, რომელიც მათემატიკური სინუსით ანაწილებდა ბურთებს.

ბევრი კრიტიკული მომენტი შექმნეს თბილისელებმა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ მოსკოველთა მეცადინე ა. აკიმოვი ოსტატურად იცავდა კარს. მიუხედავად ამისა მინც თანაგრძობა ამ შესანიშნავ ფეხბურთელს კარიდან ბურთის გამოკლება. ჯერ, მე-9 წუთზე ვარდიძის მიერ შეასრულებინა მას ეს არასასიამოვნო „მოტროცია“, შემდეგ კვლავ ვარდიძის მიერ დოლობერიძემ.

სახელოვანი მომენტში, როცა მარდიანის კარის დარტყმა მოუხდა, ანისიოვმა (ვესს) ძლიერად გაგზავნა დაბალი ბურთი ბაღისკენ, მაგრამ სარჯელიძემ იმეფათი სილამაზის ნახტომით თავით უკუაგდო ბურთი. მეორე ტაიმში თამაში გაათანაბრდა. თბილისელებმა კიდევ ერთი ბურთით გაზარდეს ანგარიში და შეხვედრა მოიგეს — 4:0. (ჩვენი სტე. კორ.)

14 მაისს თბილისის „სპარტაკმა“ წააგო მატჩი სტალინგრადში ადგილობრივ „ტორპედოსთან“ — 0:1.

საქართველოს 1950 წლის პირველობა

საქართველოს სსრ 1950 წლის საფეხბურთო პირველობა რესპუბლიკაში ტარდება სპორტის ამ სახის მასობრივად განვითარების, კოლექტივების ტექნიკური და ტექნიკური დონის შეზღვევის მიზნით. მატჩების დასრულებისას და საუკეთესო გუნდებისა და მოთამაშეთა გამოვლენის მიზნით.

პირველობის გათამაშება დაიწყო 21 მაისს. ჩემპიონატში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში დაშვებულია ქუთაისის „ტორპედო“, თბილისის ოფიცირთა სახლის, ხაშურის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორისა და ფოთის „დინამოს“, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის, სტალინ-რისა და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივები; მეორე ჯგუფში — მახარაძის, თბილისის (ორი გუნდი), თელავის, გურჯაანის, ახალქალაქის, ომაზის, ბორჯომის, სამტრედიის, ზესტაფონის, ბათუმის „ბურჟუაზისტის“, რუსთაველის, ცხაქაის, ზუგდიდის, წითელწყაროს და ვარის გუნდები; მესამე ჯგუფში დაშვებულია დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების კოლექტივები.

პირველ ჯგუფში გათამაშდა ჩატარდება ქუთაისში სისტემით ორ წრედ, მეორე ჯგუფში — ქუთაისში ერთ სისტემით ერთ წრედ. ჯგუფი დაყოფილი იქნება ორ — „ა“ და „ბ“ ჯგუფად.

პირველ ჯგუფში გამარჯვებულ გუნდს მიენიჭება საქართველოს სსრ 1950 წლის ჩემპიონის წოდება და თანახმად ფიზიკური კულტურის კომიტეტის დებულებას იგი შეხვედრებში ჩაერთვება საჯარიმო კომიტეტში მონაწილე იმ გუნდის, რომელიც უფრო დაბალ ადგილს დაიკავებს. გადამსვლელი მატჩების კოლექტივები ერთმანეთს შეხვედრებიან ორჯერ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ჩემპიონი ამ ორ მატჩში მეტ ქულას დააგროვებს,

იგი 1951 წელს მონაწილეობას მიიღებს საქართველო პირველობის გათამაშებაში და მარტინული კოლექტივის ნაცვლად. გადამსვლელი თამაშების ადგილსა და დროს განსაზღვრავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საქართველო კომიტეტი.

გუნდები, რომლებიც ამ სეზონში დაიკავეს პირველ ჯგუფში ბოლო ორ ადგილს, 1951 წელს გადავლენ მეორე ჯგუფში; გუნდები, რომლებიც დაიკავეს მეორე ჯგუფში I-II ადგილს, მომავალ წელს ითამაშებენ პირველ ჯგუფში; გუნდები, რომლებიც მეორე ჯგუფში დაიკავეს ბოლო სამ ადგილს, 1951 წელს გადავლენ მესამე ჯგუფში. მესამე ჯგუფში გათამაშდა ტარდება შერეული სისტემით, ე. ი. კოლექტივები ტურნირის პირველ ნახევარს ჩაატარებენ ოლიმპიური სისტემით, ხოლო ქვეჯგუფში (ნახევარწინაში) გასულნი გააგრძელებენ მატჩებს ქულობრივი სისტემით (8 გუნდი).

გუნდები, რომლებიც გათამაშების მესამე ჯგუფში დაიკავეს პირველ სამ ადგილს, 1951 წელს ითამაშებენ მეორე ჯგუფში.

პირველ და მეორე ჯგუფში თამაშის შედეგად მოხდება შემდგომარად: მეორე — 2 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება — 0. ასევე შეესაბამება მესამე ჯგუფის მატჩები ქულობრივი სისტემით თამაშის დროს.

პირველ ჯგუფში გამარჯვებულ გუნდს დაჯილდოვდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გარდა მავალი წითელი დროშითა და სიგელით. კოლექტივის თვითნებური წევრი მიიღებს ტეტრის, ხოლო გუნდის მწვრთნელი — სიგელს.

დ. ცოგია, საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთი.

თ. ჩხაიძის ღირსეული მოქმედება

შემთხვევა მოტოკროსის ტრასაზე

სოფელ დიდის რაიონი თბილისის მოტოციკლისტთა საყვარელი ადგილია. აქ სისტემატურად ტარდება შეხვედრები, რომლებიც დამაბული და საინტერესო მომენტებით ხასიათდება. ამას წინააღმდეგ მიმდინარეობს თბილისის მოტოციკლისტთა შერეობის მარჯვად გადაწყვეტილება, რომელიც მოტოკროსის ტრასაზე მოტოციკლისტების პირველობაზე.

კროსის დისტანცია გადიოდა მეტად დასერილ მიდამოში. მონაწილეები უნდა გავლათ 10 წრე, ე. ი. ექვართ 80 კილომეტრი. სტარტზე არიან 350 კუბური სანამეტრის კლასის მანქანების მოტოციკლისტები. აღმის დაქნევა. მარჯვით მონაწილენი გაიჭრნენ წინ, და ბრტული ბრძოლა დაიწყო...

პირველ წრეში ლიდერობდა ქალაქიდან. შემდეგ ჩხაიძე უსწრებ მას და მეთაურობს მარჯვად, მათ ცოტა ხნით; პირველი წრის დღის სწრაფად ეწევა მოწინააღმდეგეს და წინ გადის. მესამე წრეში ცალკეობა დაეცა და მარჯვით გრძელდა ევლარ მესელი. უკანააგვალმა ჩხაიძემ წამსვე დაამუხრუ-გაქანებული მანქანა, გადაიხტა, იჭრა ამხანაგთან და აღმოჩინა მას რეული დახმარება მიუ-დავლ იმისა, რომ ისე...

ეს ორი ამხანაგარა — რამდენიმე წუთის ხნით ერთმანეთის აშკარა ბრტული მოწინააღმდეგე იყვნენ.

კომპაგმირვლა თეგინ აიძემ საბჭოთა სპორტის ინსტაუტის დამხმარებელი თეგინა გამოამეგნა — გასაჭირში ჩა-ბრუნდნ მოქიშპეს მეგო-ბულად გაუწოდა ხელი;

ეს კეთილშობილური ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, თუ რაოდენ დიდი ზღვარია ჩვენი და კაბიტალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მორალს შორის.

...მარულას ლიდერობს თ. კანდე-ლაკი, მას მისდევს ა. დარბინიანი. გასაველი დარჩა კიდევ ხუთი წრე. თ. ჩხაიძე, რომელიც საგრძობლად ჩამორჩა წინასულელებს, თანდათანობით ეწევა დაწინაურებულთ. ვაიარა რა კიდევ ერთი წრე, იგი უსწრებს მათ და პირველი მიდის ფინიშიან (2.22:20,3). მეორე ადგილი დაიკავა ა. დარბინიანმა (2.37,0) მესამე — გ. ბარბაქაძემ.

125 კმ. სმ მანქანების კლასში მწვავე ბრძოლის შემდეგ ყველას აჯობა თ. გოზალოვმა.

გამარჯვებულთ გადაეცათ სიგელი და ფასიანი საჩუქრები.

დ. ევსენიძე (ჩვენი სტე. კორ.)

სურათში: მოტოკროსში გამარჯვებული თ. ჩხაიძე მანქანით გადის მდინარეს.



ფოტო გ. ბარშახისა.

მეგობრის პირველობაზე

14 მაისს ბუღაბუღში სადღესასწაულო ვითარებაში გაიხსნა ვერპოპის პირველობის გათამაშება უძლიერეს კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის.

შეხვედრებში მონაწილეობენ ევპოპის 12 ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც დაყოფილი არიან სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შევიდნენ სსრ კავშირი, საფრანგეთი, რუმინეთი, ბელგია; მეორეში — პოლონეთი, უნგრეთი, ისრაელი, ავსტრია; მესამეში — ჩეხოსლოვაკია, ალბანია, პოლანდია და შვეიცარია. პირველ ჯგუფიდან ორი გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს ნახევარფინალურ შეხვედრებში, რომლებიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდება. საბჭოთა კავშირის გუნდი გუნდის შემადგენლობაში არიან ე. ზარკოვსკაია, ტ. მოსიგევა, მ. მუსიგევა, ნ. მაქსიმოლიანოვა, ლ. მუსიგევა, ვ. შენდელი, ვ. კაი-გა, ე. რაბუშკინა, გ. ხარტიონო-ვა ნ. პიმენოვა.

დენ სსრ კავშირის კალათბურთელი ქალები. ისინი ამ დღეს შეხვედრენ ბელგიის გუნდს. მატჩი ადვილად მოიგეს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა — 91:31. პირველი დღის სხვა შეხვედრებში ასეთი შედეგები მოგვცა: საფრანგეთ-რუმინეთი — 39:26, პოლონეთი-ავსტრია — 52:18, უნგრეთი-ისრაელი — 95:13, ჩეხოსლო-ვაკია-შვეიცარია — 70:16, იტალია-პოლანდია — 71:17.

15 მაისს ავსტრიის გუნდმა და-მარცხა ისრაელის კალათბურთელები — 38:12, ხოლო პოლანდიისა — შვეიცარიის (30:29).

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა შესა-რისნავად ჩაატარა მატჩი საფრანგეთის გუნდთან და დიდი უპირატესობით მოიპოვა წარმატება — 72:20.

რუმინელებმა დამარცხეს ბელგიე-ლები, უნგრელებმა — პოლონელები, ჩეხოსლოვაკებმა — იტალიელები.

მოუფლო პოლანდიის წარმომადგენ-ლებს — 48:19, პოლონელებმა — ისრაელის სპორტსმენებს (44:19).

მატჩი სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის დამ-თავრდა ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა სასარგებლოდ — 66:16.

ჩვენი ქვეყნის ქალთა გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. მი-სი გამარჯვებებით დაგვიგინდა სა-ერთაშორისო შეხვედრები უნგრეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის კალათბურთელ ქალებთან. 1948 წლის მიწურულში მოსკო-ვის ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიაში სტუმ-რობისას მოიპოვა „პრადის დიდი პრიზი“, ხოლო შარშან ბუღაბუღში გამართულ სტუდენტთა საერთაშო-რისო თამაშებში სსრ კავშირის გუნდმა — პირველი ადგილი. აღსა-ნიშნავია, რომ საბჭოთა კალათბურ-თელთა ყველაზე მწვავე სპორტული ქიშობა გაუწია უნგრეთის გუნდმა. პრადში საბჭოთა ქალებმა დამარც-ხეს ბუღაბუღის „ქაშე“ — 41:30, ხოლო შარშან ბუღაბუღში უნგრეთის გუნდი — 36:31.




ორი გზისიკი ქალთა ჩასაზღვრელი რედაქციისათვის

სიცილიური პარტია
თეთრები: კარანი
შავები: კოტონი

- (დიდოსტატა საერთაშორისო ტურნირი ბუდაპეშტში, V ტური)
1. e2-e4 c7-c5
 2. მგ1-f3 d7-d6
 3. d2-d4 c5:d4
 4. მფ3:d4 მგ8-f6
 5. მბ1-c3 a7-a6
 6. კf1-e2 ლდ8-c7
 - 6... ლდ8-c7 ნადრევი სვლა, უკეთესი იყო 6... e7-e6
 7. კc1-g5 cb8-d7?
 - 7... კc1-g5 მოულოდნელი სვლის შემდეგ კოტონმა არ მოისურვა მიეღო გაორებული პაიკი „f“ ვერტიკალზე და 7... მბ8-c6 მაგივრად ითამაშა 7... მბ8-d7
 8. o-o e7-e6
 9. კe2-h5 ლc7-c4
 - (კერესმა 9. კe2-h5 სვლით შექმნა მუქარა მდ4:e6. კოტონმა არ დაიჯერა მხედრის შეწირვის შესაძლებლობა და ითამაშა 9... ლc7-c4)
 10. მდ4:e6!!

(კოტონი ითვლება სიცილიური პარტიის საუკეთესო მცოდნე, მის ამ დებიუტით მრავალი პარტია აქვს მოგებული. იცოდა რა ეს, კერესმა მოამზადა საინტერესო თეორიული სიახლე, რომელიც დაგვირგვინა მხედრის მეთვლეხე შორს განკერძოებული და ყოველმხრივ გამართლებული შეწირვით. შეიძლება ითქვას, რომ შავების ბედი ამ სვლის შემდეგ გადაწყვეტილია)



- 10... ლc4:e6
11. მც3-d5 მფ8-d8
12. კფ5-g4 ლe6-e5
13. f2-f4 ლe5:e4
14. კგ4:d7 კc8:d7
15. მდ5:f6 გ7:f6
16. კგ5:f6+ მფდ8-c7
17. კფ6:h8 კდ7-c6
18. ლd1-d2 კფ8-h6
19. გა1-e1 ლe4-g6
20. გc1-e7+ მფc7-d8
21. კფ1-e1 a6-a5
22. კფ8-d4 გა8-a6
23. ლd2-f2 კფ6-f8
24. კდ4-b6+ მფდ8-c8
25. გe7-e8+ კc6:e8
26. გe1:e8+ მფe8-d7
27. გe8:f8 შავები დანებდნენ.

ლ. კეპიჩაკის ხსოვნის პარტია

18 ივნისს პოლონეთის საკურორტო ქალაქ ცოპოტში დაიწყო ცნობილი პოლონელი ოსტატის დავით პეპელოვსკის ხსოვნის ტურნირი. პეპელოვსკი დაიღუპა 1940 წელს გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში. ტურნირში, აღბათ, მონაწილეობას მიიღებენ საბო და ბენკო (უნგრეთი), პანანი და ფოლტისი (ჩეხოსლოვაკია), ეივ (პოლონია), შტალბერგი (შვეიცია), ნაიდორფი და სხვ. პოლონეთის მოჭადრაკეთა კავშირმა ტურნირში მონაწილეობისათვის მიიწვია 5 საბჭოთა მოჭადრაკე მსოფლიოს ჩემპიონის მ. ბოტვინიკის მეოთხეობით.

დაიწყო რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა 1950 წლის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობენ: ვ. სამარკინა (რუსეთი), ლ. ნანკაშვილი (ქუთაისი), თ. აბრამიშვილი (თბილისი), ლ. გეგეჭკორი (ფოთი), ლ. მებალიშვილი (სოხუმი), ქ. გოგიაძე და ლ. გლოვანი (ორივე თბილისიდან), ე. შიოშვილი (ბათუმი), ვ. ზარგარიანი, ლ. წეროძე და ლ. ნაჭყებია (სამივე თბილისიდან).

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ტურნირის მონაწილეთა შორის რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდა მოჭადრაკე ქალები არიან.

შეჯიბრების პირველი ტურიდანვე გათამაშების ლიდერი გახდა ქ. გოგიაძე. მან პირველ ტურში დაამარცხა რესპუბლიკის ჩემპიონი ლ. გლოვანი, ყოფილ დასარულ პარტია ე. შიოშვილიან, მოულოდნელი თბილისის ჩემპიონს ვ. ზარგარიანს, აგრეთვე ლ. წეროძეს. კარგ შედეგებს მიიღწია ასევე ექიმმა ვ. სამარკინამ. მან სამი პარტიიდან სამივე მოიგო. ორ-ორი ქულა დააგროვეს ვ. ზარგარიანმა და ლ. ნაჭყებამ, ამასთან მათ თითო გადაღებული პარტია აქვთ.

მეხუთე ტურში მორიგე გამარჯვებას მიიღწია ტურნირის ლიდერმა ქ. გოგიაძემ, რომელმაც დაამარცხა ლ. ნაჭყებია. მებალიშვილმა მოუგო სამარკინას, ლ. წეროძემ — გლოვანს, ლ. ნანკაშვილმა — ლ. გეგეჭკორს. შიოშვილი-ზარგარიანის პარტია გადაიღო.

ოსვამთა მონანილოებით

15 მაისს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო ქალაქის საუკეთესო მოჭადრაკეთა მატჩ-ტურნირი, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობენ სპორტის ოსტატები გ. ილივიცი (სერბი-სლავი) და ა. ბანნიკი (კეივი).

წინა დღით ჩატარებული კენჭის ყრის შედეგად ტურნირის ცხრილში ადგილები ასე განაწილდა: 1. თ. გორგაძე, 2. ა. ბლაღოდე, 3. ა. ბუსლაგვი, 4. ა. გაგუა, 5. გ. ილივიცი, 6. ლ. გერშკოვიჩი, 7. ვ. ქარსელაძე, 8. მ. შიშოვი, 9. ნ. სარაკინი, 10. ა. ბანნიკი.

პირველ ტურში ბანნიკის წინააღმდეგ გორგაძემ საუკეთესოდ ჩაატარა პარტიის საწყისი სტადია. შუა თამაშში ბანნიკმა მოულოდნელი სვლა გააკეთა მხედრით, რითაც გორგაძემ საგრძნობლად ჩააფიქრა. საინტერესო ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიღო საყაიმო მდგომარეობაში.

ილივიციმ დაამარცხა გერშკოვიჩი, ქარსელაძემ — გაგუა, ბუსლაგვი — შიშოვი.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ბლაღოდე-სარაკინის შეხვედრა. ორი მხედრის დებიუტში ბლაღოდემ დასაწყისში გარკვეულ უპირატესობას მიიღწია, მაგრამ ფიგურათა გაცვლის შემდეგ პარტია საგრძნობლად გამარტივდა. იგი გადაიღო დაახლოვებით თანასწორ მდგომარეობაში.

მეორე ტურში ყველაზე ადრე, ყოფილ დამთავრდა გორგაძე-ბლაღოდის შეხვედრა. გაგუა ამაჯობადაც დებიუტების სუსტად ცოდნის მსხვერპლი გახდა. იგი დამარცხდა შიშოვთან.

მეტად სადად და მასთან ზუსტად თამაშობს ოსტატი ილივიცი. მიუხედავად მდგომარეობის სირთულისა ქარსელაძესთან შეხვედრაში მან მარტივი სვლებით მოახერხა გარკვეული პოზიციური უპირატესობის მიღწევა და მოიგო პარტია.

უყურადღებო სვლის შედეგად გერშკოვიჩმა გერ კიდევ საწყის ფაზაში წააგო ხარისხი ბანნიკთან. პარტია გადაიღო უკანასკნელის უპირატესობით. კარგ ფორმაშია ბუსლაგვი, რომელსაც სარაკინთან გადაღებულ პარტიაში მოსაგები მდგომარეობა აქვს.

ა. ფალავანდიშვილი, შეჯიბრების მთავარი მხაჯი.

რედაქციისაგან

როგორც ცნობილია, ვაჭომა „ლელომ“ გამოაცხადა საკავშირო კონკურსი საქადრაკო ეტოულების შედგენაზე. რედაქცია ღებულობს მრავალ ეტოულს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ერევნიდან, სტალინგრადიდან, ნოვოჩერკასკიდან, ჩელიაბინსკიდან და სხვა ქალაქებიდან.

შეიხვედრა თხოვნით კონკურსის ვადა გაგრძელებულია ა. წ. 31 მაისამდე.

ხეხლის ხაზზე

ამას წინათ არმიის ნებაყოფლობითი ხელშეწყობი საზოგადოების ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ სროლაში გუნდურ და პირად პირველობაზე ჩატარებულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის, ინდუსტრიული ტექნიკუმის, ტყაფუხს-საცემის კომბინატისა და სხვ. კოლექტივებმა.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ტყაფუხსსაცემის კომბინატის გუნდმა.

თბილისის სპორტული კვირა

კალათბურთი. 19-26 მაისი. თბილისის პირველობა. კალათბურთის სტადიონი (კირთვის სახელობის პარკი). დასაწყისი 15 საათზე.

პარტული ზილაობა. 20-21 მაისი. უწყებათაშორის გუნდური შეჯიბრება გარდამავალ დღეებზე. სახელმწიფო ცირკი. დასაწყისი 20 საათზე.

ფეხბურთი. 19-26 მაისი. თბილისის პირველობა. მთელ-კავშირის ფაბრიკის „დინამოს“ და 26 კომისარის სახ. რაიონის სტადიონები. დასაწყისი 17 საათზე.

ჩოგბურთი. 19-26 მაისი. თბილისის პირადი პირველობა. „დინამოს“, „ბურევესტნიკის“ და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის საზოგადოებრივი მოედნები. დასაწყისი 17 საათზე.

სროლა. 21 მაისი. თბილისის პირად-გუნდური პირველობა. სასროლო ტირი (კონსტიტუციის ქ. № 6). დასაწყისი 11 საათზე.

ცურვა. 21 მაისი. შეჯიბრება სპორტული ხევის გახსნის დღეებზე. ფიზკულტურის პარკის წყალ-აგმარბობის აუზი. დასაწყისი 12 საათზე.


ველოსიპედი. 21-23 მაისი. თბილისის პირად-გუნდური პირველობა. ლ. პ. ბერიას სახელობის ველოსიპედ-დონი. დასაწყისი 18 საათზე.

უხსოაიის უოსვიღანე

არაერთხელ გავფიქრებია, რომ საფეხბურთო მატჩები სახერეთა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში, როგორც წესი, მთავრდება ფეხბურთელებსა და გულშემატკივართა შორის ჩხუბით, სადაც ხშირად პოლიცია და ჯარის ნაწილებიც კი მონაწილეობენ. ამ შეტყუებებში არ ვერიდებთან იგი და ცეცხლმსროლელი იარაღის გამოყენებას.

მაგრამ ყოველთვის, როცა ვაივებ მორიგი ცემა-ტყეპისა და მკვლელობის შესახებ, ვანკვიფრებ, თუ რა სიმშვენიერე მიღიან ადამიანები თავიანთი სპორტული შოთინიზმით, რომელიც სხვა მდებარე ინსტიტუტებთან ერთად ღვივდება პრესის, კინოს, რადიოს და პროპაგანდის სხვა საშუალებებით ამ, უკაცრავად სიტყვად, ამერიკული ტიპის დემოკრატიის ქვეყნებში.

სან-სალვადორის დედაქალაქში ამჯერად ღამის მყუდროება დაარღვია უჩვეულო ხმაურმა, ყვირილმა, სროლამ, მომაკვდავთა და დასახიჩრებულთა კენჭსამ. შურისძიებას მოწყურებულმა სან-სალვადორელებმა გამოათიეს ქუჩაში გავრეშული მოთამაშეები და მათ უმოწყალო ცემა დაუწყეს. თანამეშაველების დასახიჩრებლად გაჩნდნენ ახალგაზრდობის გულშემატკივრები. დაიწყო სროლა და ხოცვა-ჟლეტა.



უნგრეთში დიდი ინტერესით მიმდინარეობს საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრე.

გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზე მიდის არმიელთა გუნდი „გონვედი“, რომელსაც 22 ტურის შემდეგ მოგროვებია აქვს 36 ქულა (ბურთების შეფარდება — 57:19). საინტერესოა აღინშნოს, რომ „გონვედმა“ წააგო შეხვედრა საბჭოთა მაყურებელთათვის ცნობილ გუნდთან ბუდაპეშტის „ვაშაშთან“. ამ მატჩში ერთი ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა თამაშის ბედი, 82-ე წუთზე გაიტანა მედიოთონეთა ცენტრალურმა თავდასხმეულმა დიდი სილადიმ. ახლა „ვაშაშს“ მეოთხე ადგილი უჭირავს (27 ქულა, ბურთების შეფარდება — 48:28).

მეორე ადგილზე მიდის „ედოსი“ (ყოფილი „ფერენცვაროში“). გუნდმა 46 შესაძლებლობა მოაგროვა 35 ქულა (62:27), მესამე ადგილზე „ტექსტილში“ — 31 ქულა (58:29).
სწრაფი: მატჩი „ედოსი“ — „შორკოშარ“. „ედოსის“ ცენტრალურმა თავდასხმეულმა დედაქალაქის შესანიშნავად გაარღვია მოწინააღმდეგის დაცვის ზღუდები, „შორკოშარის“ მეკარე მან ფეხებში ჩაუვარდა, მაგრამ დედაქალაქის გუნდმა მეკარესაც და ბურთი კარში გაგზავნა.

მედი უკალაუბა სანალირო სპორტს

ამ დღეებში ჩატარდა საქართველოს მონადირეთა კავშირის რეგულაციული მე-4 ყრილობა. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა „მონკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე ანს. კ. ციმაკურიძე.

ნაღობა წარმოადგინა სპორტია, მამაკთა სპორტი. ამავე დროს ნაღობა აქტიური დასვენების შესანიშნავი საშუალებაა. იგი ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაკეთებას და მორალური ჩვევების გამოწვევას.

ამის შემდეგ მონადირეთა კავშირის მონადირეთა კავშირის გამგეობის წინაშე დაინახა ახალი ამოცანები: გზნაშენი საზოგადოებრივი მეთრენობის განვითარებაზე, სასტიკი ბრძოლა გვემართა ნაღობის წესების დარღვევასთან, ემუშავა ჩვენი სანალირო ფაუნის შენარჩუნება-გამრავლებისათვის, გაეშალა მუშაობა სახელმწიფო ვალდებულებების — ბეწვეულის დამზადებისა და მტაცებელთა განადგურების წარმატებით შესრულებისათვის.

ამჟამად „მონკავშირის“ შექმნილი აქვს 3 კავშირი და 55 მონადირეთა ამხანაგობა, რომელშიც გაერთიანებულია 31.492 წევრი.

დიდი მუშაობა ჩატარდა სახელმწიფო-საბუნების ბეწვეულის ჩაბარება მხრივ. საანგარიშო პერიოდში მონკავშირმა დაამზადა და სახელმწიფო ჩაბარა 2.507.000 მანეთის ბეწვეულის.

საქართველოში ჯიშოანი მონადირე ძაღლების მომზადებას დიდ ყურადღება ექცევა. რესპუბლიკის ალიტულია 1.745 პოინტერი, ირსლისური და ირლანდიული სეტერი და სხვ. — სათანადო ყურადღება ეთმობა აგრეთვე სასროლო საწყის ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩატარებულია ომის დროს დაზარალებული სეტერი. ახალი სტრუქტურა აიგო სოხუმსა და მახარაძეში. მთავრდება სეტერის მშენებლობა ბათუმში აპრილის შუა რიცხვებში თბილისში გაისხნა ახალი მრავალ-მოედნის სასროლო სტენდი.

ყოლიობის წინა დღეებში თბილისში გამართა სანალირო ძაღლების მე-19 გამომეცნა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 500-მდე ძაღლმა. სუბკეთესობებს მიენიჭათ ოქროს დიდი და მცირე და ვერცხლის დიდი მედლები.

„ბათილთა ღამე“ სან-სალვადორში

ვართა დიდი რაოდენობა, რადგანაც არც ისე შორი მანძილითაა ეს ქალაქები ერთმანეთისაგან დაშორებული. მატჩი დამსრულები ვითარებაში დაიწყო. სტადიონზე მოიყვანეს ჯარები და პოლიცია. პირველი ტიპი ფრედ დამთავრდა და ამიტომ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

მაგრამ, როცა მეორე ტიპში უპირატესობა მასპინძლების მხარეზე აღმოჩნდა, სტუმრებმა დაიწყეს უხეშობა ამ სიტყვის ამერიკული გაგებით: მოედნიდან საკაცით გაიტანეს სან-სალვადორელები. ასე თუ ისე, პოლიციელებმა შეძლეს ცემა-ტყეპისაგან გვატემალის გუნდის წარმომადგენელთა დაცვა სტადიონის ფარგლებში. მაგრამ დამთ პოლიცია, ცხადია, არ დარაჯობდა სასტუმროსა და მეზობელ კვარტლებს.

სან-სალვადორის დედაქალაქში ამჯერად ღამის მყუდროება დაარღვია უჩვეულო ხმაურმა, ყვირილმა, სროლამ, მომაკვდავთა და დასახიჩრებულთა კენჭსამ. შურისძიებას მოწყურებულმა სან-სალვადორელებმა გამოათიეს ქუჩაში გავრეშული მოთამაშეები და მათ უმოწყალო ცემა დაუწყეს. თანამეშაველების დასახიჩრებლად გაჩნდნენ ახალგაზრდობის გულშემატკივრები. დაიწყო სროლა და ხოცვა-ჟლეტა.

დილით ქალაქის ყველა საავადმყოფო ავსებული იყო სამწიფო დასახიჩრებული გვატემალელებითა და სან-სალვადორელებით. როგორც ფრანგ პრესის სააგენტო უწყებებოდა, მოკლულ იქნა რამდენიმე ათეული კაცი. გვატემალის საგარეო საქმეთა მინისტრმა პროტესტი განაცხადა სან-სალვადორის მთავრობისაგან მოთხოვნა მომზადება შემთხვევის გამომიხიება და დამნაშავეთა დასჯა.

ამ ორი რესპუბლიკის ურთიერთობა მოკიდებულია მეტად გამწვანდა. ლ. პარაკოტენ, რომ მათ შორის თითქოს დაპირებული ურთიერთობა უნდა შეწყდოდ. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ლათინური ამერიკის საქმეებში მდივრი ჩოთ-დუკუანერიანმა კინფურენციაზე ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებს მოუწოდებდა და დედამიწის ამ ნაწილის ქვეყნებს შორის „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგებისაკენ“.

ა. ბრეგვაძე